

**ორგზის მუჰაჯირები სამი კულტურის გზაჯვარედინზე**  
(ჰაირიელი ქართველები ბერგნოიშტადტში)

*საკვანძო სიტყვები: თურქეთელი ქართველები, მიგრაცია გერმანიაში, „სახლის“ აღქმის პრობლემა, იდენტობის საკითხი.*

*„...და თუ ყოველივე ტრიალებს, მაშინ სადღაა აქ?“ დორინ მეისი*

თანამედროვე მსოფლიო უკვე დიდი ხანია დგას ლეგალური თუ არალეგალური მიგრაციის წინაშე, რასაც ხშირ შემთხვევაში საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური პრობლემები. ყოველდღიურად იზრდება მიგრანტთა რიცხვი. განსაკუთრებით შესამჩნევია გადასახლება აღმოსავლეთიდან დასავლეთისა და ევროპის ქვეყნებში. გადასახლებაში მხოლოდ ფიზიკურს არ ვგულისხმობთ, ეს კულტურის, ტრადიციების, ადათობრივი სივრცის გადაადგილებაა ერთი ეთნიკური გარემოდან, უცხო, სხვა ეთნიკურ გარემოში. ამ დროს ორი განსხვავებული კულტურა – აღმოსავლური და დასავლური ერთმანეთს კვეთს ადამიანის ცნობიერებაში. გადასახლების პროცესში ადამიანებს თან მიაქვთ თავიანთი კულტურისა და ტრადიციების მნიშვნელოვანი ნაწილი. უცხო ქვეყანაში მათ ხვდებათ ახალი, შესაძლოა, რადიკალურად განსხვავებული კულტურული სივრცე, ახალი რეალობა. დროთა განმავლობაში პიროვნების ცნობიერებაში ერთმანეთს უპირისპირდება წარსული და აწმყო, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს გაორება, ახალი რეალობისადმი უკმაყოფილება, მისი მიუღებლობა და ეთნიკური იდენტობის დაცვის მიზნით, საკუთარ ტრადიციებში ჩაკეცვა. თუმცა შესაძლოა, ამ ახალმა გარემომ „გადმოიბიროს“ იგი და შექმნას „წარსულისაგან თავისუფალი“, „ახალი“ ადამიანი. მაგრამ სანამ მოხდება პიროვნების „გათავისუფლება“, მის ცნობიერებაში იბადება კითხვები: ვინ ვარ მე? რას ნიშნავს ჩემთვის სახლი? ეს უკანასკნელი ის ადგილია, სადაც დავიბადე და გავიზარდე, თუ სადაც ამჟამად ვცხოვრობ, ვმუშაობ და ვიძენ მეგობრებს? იქნებ ჩემი სახლი არის იქ, სადაც ჩემი წინაპრები სახლობდნენ? სახლი

გეოგრაფიული სივრცეა თუ წარსული ელემენტებით შთაგონებული, ემოციებზე, წარმოსახვებსა და გრძნობებზე დაფუძნებული სივრცე? როდის ხდება სახლი ჩემი ციხე-სიმაგრე? ამ კითხვებზე პასუხის ძიება არსებითად მნიშვნელოვანია უცხო მიწაზე გადასახლებულთათვის.

ჩვენი კვლევა ეხება მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, თურქეთიდან, ქალაქ ინეგოლის ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლიდან-ჰაირიედან გერმანიაში, (გუმერსბახი/ბერგნოიშტადტი) გამოსახლებულ თურქეთელ ქართველებს. მათში სამი განსხვავებული კულტურული ნიშნები იკვეთება – ქართული, თურქული და გერმანული. ვიდრე ბერგნოიშტადტში მცხოვრებ თურქეთელ ქართველებზე ვისაუბრებთ, ვფიქრობთ, საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსი – სამი კულტურის ქვეყნის გზაჯვარედინზე.

### მოგზაურობა წარსულში: 1. მუჰაჯირები ჰაირიეში

მუჰაჯირობა მეტად რთული მოვლენა იყო. რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1877-78 წლებში, ბერლინის ტრაქტატის შედეგად, რუსეთის საქართველოს მფლობელობაში გადავიდა აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი – ოლთისი. ქართველთა ერთი ნაწილი რუსეთის მმართველობის ფარგლებში დარჩა, მეორე კი სხვადასხვა მიზეზთა გამო გახდა მუჰაჯირი თურქეთში. პიროვნების ჩამოყალიბება, განვითარება ხდება გარემო პირობებთან ადაპტაციის შედეგად. გარემო პირობები კი მუჰაჯირ ქართველებს, ახლა უკვე, ოსმალეთის სივრცეში ექმნებოდათ.

დროთა ავბედითობის მიუხედავად, უსამშობლოდ დარჩენილი მუჰაჯირი ქართველები (თუმცა მუჰაჯირს საკუთარ თავს არ უწოდებენ) მოექცნენ რა თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეურნეო-კულტურულ სივრცეში, ნებისთ თუ უნებლიეთ ითვისებდნენ უცხო ტრადიციებს. მაგრამ ასიმილაციის ბუნებრივი პროცესის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად მაინც ახერხებდნენ ადათ-წესების, ტრადიციების შენარჩუნებას, თვითიდენტობის განცდას, რაც მათში სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა.

რუსული და ოსმალური პოლიტიკის შედეგად გამოწვეული ქართული ტრაგედიის – მუჰაჯირობის გამო, უამრავი ქართველი მუსლიმი იძულებული იყო მიეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი და თავშესაფარი უცხო მიწაზე ეძია. ზოგმა ვერც კი მიაღწია „ნანატრ სამოთხეს“ და გზაში დაიღუპა, ზოგი შიმშილითა და დარდით მოკვდა, ხოლო ვინც გადარჩა, თურქეთის მთიან და ზღვის განაპირა ადგილებს მიაშურა. ერთ-ერთი მათგანია ინეგოლის რაიონის სოფელი ჰაირიე (მაჭახელა,

„ქუჩუქ მოსქოვა“ – პატარა მოსკოვი), რომელიც 1880-1888 წლებში იმამ ჰაჯი მეჰმედ ეფენდის დაუარსებია.

დაახლოებით 250-კაციან ჯგუფს მიუტოვებია ართვინთან ახლოს მდებარე ტერიტორიები, ზოგიერთის ცნობით მაჭახლის სოფლები ჩუკუნეთი, ჩხუტუნეთი, კირკიტეთი, ხინკილეთი, კირნათი და თურქეთისაკენ მიმავალ გზას დასდგომია.

როგორც სოფლის მოსახლეობა აღნიშნავს, მათ წინაპრებს სოფელი ისე მოუწყვიათ, როგორც საქართველოში. ცენტრალური ნაწილი თურქულად „orta mahalle“, ქართულად კი ხინკილაძეების უბანია. აღმოსავლეთით არის ჯამბაზოღლებისა და კირკიტაძეების უბანი. სამხრეთით მდებარეობს ზედა უბანი თურქულად „Yukarı mahalle“ ანუ სიკალეთი, ხოლო მის საპირისპირო მხარეს, დასავლეთით არის ვაკი-ელეების უბანი, თურქულად „karşı mahalle“.

სახელწოდება „Hayriye“ მომდინარეობს სიტყვისგან „Hayır“, რაც „სიკეთეს“, „ხეირს“ ნიშნავს. სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც არსებობს, კერძოდ, სოფელ მადენიდან გადმოსული ქართველები იმდენად მოხიბლულან სოფლის ადგილმდებარეობითა და სილამაზით, რომ განცვიფრებულებს წარმოუთქვამთ: „Hayırdır inşallah“ (ღმერთმა ქნას ხეირის/სიკეთის მომტანი იყოს). სხვა მოსაზრებით კი სოფლისათვის სახელი ჩერქეზებს დაურქმევიათ. ჰაირიელები თავიანთ სოფელს „მაჭახელას“ ეძახიან, რადგანაც მათი წინაპრები მაჭახლის სოფლებიდან არიან.

სოფელს მეტსახელიც გააჩნია – „küçük Moskova“ ანუ „პატარა მოსკოვი“, რომელიც მეზობელი ქართული სოფლების მოსახლეობამ შეარქვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელწოდებას თავად ჰაირიელები არ იყენებენ.

ბუნებრივია, არსებობს მიზეზი ამ სახელწოდების არსებობის და იგი უკავშირდება სოფლის თანამედროვე ყოფას. მას შემდეგ, რაც ჰაირიელები მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში სამუშაოდ გერმანიის სხვადასხვა ქალაქში წავიდნენ, ევროპულ გამოცდილებას ეზიარნენ. გერმანიაში მიღებულ ცოდნას სოფლის კეთილდღეობას ახმარდნენ. გარდა ამისა, ევროპულმა კულტურამ მათზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, რაც პრაქტიკულ გამოხატულებას სოფელში ჰპოვებდა. ჰაირიე გამდიდრდა და ინეგოლის ყველაზე შეძლებულ და წარმატებული ინფრასტრუქტურის მქონე სოფლად გადაიქცა. ევროპულმა შენედეულებებმა, თანამედროვე და არა რელიგიური დოგმებით ყოფა-ცხოვრებამ, სოფელში სიანლეების შემოტანამ, ისინი სხვათა თვალში „კომუნისტებად“ და „გედერეცხილებად“ აქცია, ხოლო „პატარა მოსკოვი“ კი მატერიალური კეთილდღეობის გამომხატველი მეტსახელი გახდა.

**მოგზაურობა წარსულში:****2. მუჰაჯირები გერმანიაში/ბერგნოიშტადტი**

*„ეთნიკური კუთვნილების საკითხი გერმანიაში მცხოვრებ თურქებში, უნდა განვიხილოთ, სოციალურ, პოლიტიკურ, ისტორიულ, ნაციონალურ, ტრანსნაციონალურ და გლობალურ კონტექსტში, რადგანაც ეს ყოველივე დიდ როლს თამაშობს მრავალფეროვანი ინდივიდუალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში.“ ვერნერ შიფაუერი*

იმის გამო, რომ თურქეთში 60-იან წლებში მაღალი იყო უმუშევრობის დონე, ხოლო ევროპას იაფი მუშახელი ესაჭიროებოდა, თურქეთმა მუშახელის გაგზავნასთან დაკავშირებით, ევროპასთან გააფორმა ხელშეკრულება. ევროპის ქვეყნებს შორის, ყველაზე დიდი უპირატესობით გერმანია სარგებლობდა. 1974 წლამდე, თურქეთიდან მიახლოებით მილიონმა ადამიანმა გადალახა გერმანიის საზღვარი იმ იმედით, რომ სწრაფად გამდიდრდებოდა. მათთვის ევროპა მიმზიდველი იყო ცხოვრების მაღალი დონითა და სტანდარტებით. მიგრანტების უმრავლესობას სოფლის მოსახლეობა წარმოადგენდა, რომელთაც მხოლოდ დაწყებითი სკოლის დიპლომი გააჩნდათ, რაც ბუნებრივია, გერმანიაში სოლიდური სამსახურის მისაღებად საკმარისი არ იყო. მათ მუშაობა ლითონის გადამამუშავებელ ქარხნებში დაბალ თანამდებობებზე დაიწყეს. თუმცა დროთა განმავლობაში დასაქმდნენ მაღაზიებში, ტექნიკისა და საკვები პროდუქტების წარმოების სექტორებში.

1973 წელს საწვავის კრიზისს მუშახელის მიგრაციის შეჩერება მოჰყვა (Anwerbestopp für Ausländer) და დააჩქარა გერმანიის სახელმწიფოს მხრიდან ემიგრანტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება, რაც გამოწვეული იყო შემდეგი ფაქტორით: მიგრანტებმა (ამ შემთხვევაში თურქებმა) ნელ-ნელა დაიწყეს ოჯახის წევრების ჩამოყვანა. ბუნებრივია, გაიზარდა მათი რაოდენობა, რაც 70-იანი წლებისათვის თურქეთში დაბრუნებულთა რიცხვს საკმაოდ აღემატებოდა. „უცხო ელემენტების“ ზრდა პრობლემებს უქმნიდა გერმანიას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იაფი მუშახელის მიგრაციის შეჩერებამ რეალურად მხოლოდ ჩამომსვლელ მიგრანტებს შეუქმნა ბარიერი, მაგრამ გააუმჯობესა გერმანიაში მცხოვრებ თურქთა მდგომარეობა. 80-იან წლებში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მიგრანტების ოჯახის წევრების ჩამოყვანასთან დაკავშირებით მიიღო სანქცია, რომელიც მეუღლისა და ბავშვის ჩამოსვლაზე აწესებდა შეზღუდვას, ასევე ამცირებდა ბავშვების ასაკს 16 წლამდე. 1983 წელს კოლის მთავრობამ მიიღო „სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნების აქტი, რომელიც მიგრანტებს სამშობლოში დასაბრუნებლად სთავაზობდა ე. წ. ფინან-

სურ წახალისებას (Starthilfe). აღნიშნული აქტი ითვალისწინებდა 10 500 მარკას ერთ სულ მოზრდილსა და 1. 500 მარკას ერთ სულ ბავშვზე. ამ წახალისებით 1983 წელს სამშობლოში (თურქეთში) დაბრუნდა 100 388 თურქი“ [ბოზქურთი 2009: 33]. თუმცა უმრავლესობისათვის ეს ფინანსური წახალისება და სამშობლოში დაბრუნება საკმაოდ წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგანაც თურქეთში ფულის დაბანდება ისინი გააკოტრა, რასაც უმუშევრობის პრობლემაც დაერთო. ყოველივე ამან დიდი გავლენა იქონია გერმანიაში დარჩენილ თურქებზე და შეაჩერა მათი უკან დაბრუნების პროცესი. ამ პერიოდში თურქეთში სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა, 1980 წელს მოხდა სამხედრო გადატრიალება, რასაც 80-იან წლებში ქურთების გამოსვლებიც დაერთო, ქვეყანაში ქაოსი სუფევდა, რაც დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდებზე. ყოველივე ამან კი გერმანიაში მცხოვრებ თურქებს გადააფიქრებინა სამშობლოში დაბრუნება.

თურქების გერმანიაში გადინება 80-იან წლებშიც მიმდინარეობდა. „ბავშვების, მეუღლეების, თავშესაფრის მაძიებელთა, სტუდენტთა და ასევე უკვე გერმანიაში დაბადებულთა რიცხვმა 2005 წელს 2. 6 მილიონს მიაღწია, თუმცა ვარაუდობენ, რომ 2030 წლისათვის მათი რაოდენობა სამ მილიონს გადააჭარბებს“ [ბოზქურთი 2009: 33]. ბუნებრივია, მასპინძელი ქვეყანა მიგრანტთა ასეთ ზრდას არ ელოდა, რადგანაც თავიდანვე მათ მხოლოდ დროებით უცხოელ მუშახელად (Gastarbeiter) მიიჩნევდა, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ გერმანიის მთავრობა „შეცდა“ მათი სურვილი იყო მაქსიმალურად „იაფად გამოსულიყვნენ“ თურქები თანხმდებოდნენ ისეთ სამუშაოებს, რაც რიგითი გერმანელისათვის მიუღებელი იყო, როგორც სოციალური ისე ფინანსური თვალსაზრისით. ბუნებრივია, ასეთი „უპრეტენზიო“ მუშახელი დასაწყისში საკმაოდ მიმზიდველად მიიჩნიეს, მაგრამ „ვერ გათვალეს“, რომ წლების შემდეგ ისინი სამშობლოში აღარ დაბრუნდებოდნენ, მათი რიცხვი გაიზრდებოდა, რასაც ხელს შეუწყობდა შობადობა-გამრავლების ტემპები და ევროპაში ცხოვრების უპირატესობა.

ჰაირიელების გერმანიაში გადინება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება და პროფესიით არქიტექტორ აჰმედ ოზკან-მელაშვილის<sup>1</sup> სახელს უკავშირდება. იგი ადგილობრივ მასწავლებელ ფაიკ ერთანთან ერთად სოფლის ფეხზე დაყენებას ცდილობდა.

1 თურქეთში მოღვაწე ქართველი, რომელიც ქართული კულტურის პოპულარიზაციას ემსახურებოდა. იგი 1980 წლის 5 ივლისს მოკლეს ქალაქ ბურსაში.

იმის გამო, რომ ჰაირიეს მოსახლეობას ფინანსურად უჭირდა, აკმედ მელაშვილმა ჰაირიეში შექმნა მთავრობის მიერ ინიცირებული<sup>2</sup> „სოფლის განვითარების კოოპერატივი“. სწორედ ამ კოოპერატივის მეშვეობით უამრავი ჰაირიელი მამაკაცი გერმანიაში გაიგზავნა სამუშაოდ. თუმცა ამ გადინებამ სოფელი დააცარიელა.

ჰაირიელები 60-იანი წლებიდან გერმანიაში, ქალაქ გუმერსბახსა (მასზე დაქვემდებარებულ დაბებში: დერშლაგი, აპფელბაუმი, ბორხენი) და ბერგნოიშტადტში ცხოვრობენ (ზოგადად თურქეთელი ქართველები თავმოყრილი არიან შემდეგ ქალაქებში: ჰაიდელბერგი, ჰალე, ეპელჰაიმი და სხვ.). ბერგნოიშტადტი მდებარეობს კელნის აღმოსავლეთით 50 კილომეტრში, ჩრდილოეთ რაინის ვესტფალიაში (nordrhein-westfälischen) გუმერსბახის ახლოს და ეკუთვნის ბერგის რეგიონს.

ბერგნოიშტადტი სოფელ ჰაირიეს მოგვაგონებს. ორივესათვის დამახასიათებელია ტყე, ლამაზი ბუნებითა და სუფთა სასმელი წყლით. როდესაც ქართველი მუჰაჯირები თურქეთში გადასახლდნენ, ისეთ ადგილებზე დასახლდნენ, რომელიც მათ საქართველოს გაახსენებდა რელიეფური თუ ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით, სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჰაირიელმა ქართველებმა გერმანიაში სწორედ ბერგნოიშტადტი აირჩიეს.

აღნიშნულ ქალაქში, თავად ჰაირიელების გადმოცემით, 500-600-მდე ჰაირიელი ცხოვრობს. ბუნებრივია მათი რიცხვი 60-იანი წლებიდან ნელ-ნელა იზრდებოდა. 1996 წელს კი გაჩნდა იდეა, დაეარსებინათ “Hayriye köy yardımlaşma derneği” (სოფელ ჰაირიეს დახმარების საზოგადოება/ფონდი). საზოგადოების გახსნამდე ბერგნოიშტადტელი ჰაირიელები, სოფლისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, თანხის შესაგროვებლად კარდაკარ დადიოდნენ. იმ დროისათვის ბერგნოიშტადტში დაახლოებით 250-300 ჰაირიელი ცხოვრობდა. მამაკაცთა უმრავლესობა მანქანის ნაწილების დამამზადებელ ქარხნებში მუშაობდა (ჰაირიელები თურქეთში სოფლის მეურნეობითა და ხე-ტყის დამუშავებით იყვნენ დაკავებულნი და, ბუნებრივია, ეს საქმიანობა მათ გერმანიაში ვეღარ გამოადგებოდათ).

2005 წელს ბერგნოიშტადტში დაარსეს საზოგადოება “Kafkas Club” („კავკასიური კლუბი“),<sup>3</sup> რომლის მიზანს წარმოადგენდა, ჰა-

2 ინიციატივა ეხებოდა თურქეთში სოფლის განვითარების საკითხს. 1964 წელს შეიქმნა თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამ უკანასკნელმა შეიმუშავა სამუშაო გეგმა, რომლის თანახმადაც, თურქი მიგრანტების მიერ გამომუშავებული თანხებით უნდა მომხდარიყო სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარება. სწორედ ამ ინიციატივამ წაახალისა ღარიბი სოფლების მოსახლეობა, შეექმნათ „სოფლის განვითარების კოოპერატივი“.

3 აღნიშნული საზოგადოება კელნში განთავსებულ თურქეთის საკონსულოს ექვემდებარება. ბერგნოიშტადტში თურქეთიდან ჩამოსულთა მიერ დაარსებული

ირიელი ქართველებისა და ბერგნოიშტადტში მცხოვრები კავკასი-ელების, კერძოდ, აფხაზებისა და ჩერქეზების თავმოყრა. აღნიშნულ საზოგადოებაში წელიწადში რამდენჯერმე ეწყობა ჰაირიეს დღეები. იკრიბებიან, „გურჯულ“ კერძებს ამზადებენ, ერთობიან, უკრავენ აკორდეონზე. ამ ღონისძიების მიზანი ერთად ყოფნაა, რადგანაც მიიჩნევენ, რომ გერმანულმა ცივმა გარემომ, საკუთარ ნაჭუჭში ჩა-კეტვის პერსპექტივამ, შესაძლოა, 10 წელიწადში ჰაირიელები ერთ-მანეთისათვის უცხო გახადოს.

საადეთინ გუნთეჩინი, „კავკასიური კლუბის“ ხელმძღვანელი (საუბ-რობს ქართულად): „სოფელ ჰაირიეს დახმარების საზოგადოება“ ძალიან მნიშვნელოვანია ბერგნოიშტადტში. ჩვენ ვაგროვებთ ფარას (ფულს) ყოველ თვე და ვგზავნი ჰაირიეში მეჩეთისა და საფლავებისათვის, ვეხმარებით ფუხარ (ღარიბ) ხალხს. ეხლა გვაქვს 30 000 ევრო. „კავკა-სიური კლუბი“ ჩვენთვის აიღეა (ოჯახია), ვაწყობთ ჰაირიეს დღეებს, ვუკრავთ გურჯულ ხალხურ მუსიკებს, ვცეკვავთ „კოლსამას“, „განდა-განას“. ჩვენი ქალები ამზადებენ გურჯულ კერძებს. Biz mutluyuz (ჩვენ ბედნიერები ვართ) ზოგჯერ ჩერქეზები და აზაზები(აფხაზები) მოდიან და კარგ დროს ვატარებთ“.

### სამი თაობის ბერგნოიშტადტელი

პირველი თაობის ბერგნოიშტადტელების გერმანიაში ჩასვლის მიზანი იყო ფულის დაგროვება და ჰაირიეში დაბრუნება. იმის გამო, რომ გერმანია მხოლოდ დროებით საცხოვრებელს წარმოადგენდა, მათ არც კი უფიქრიათ, ენა შეესწავლათ. ისინი მხოლოდ მუშაობასა და თანხის დაგროვებაზე იყვნენ ორიენტირებულები. ბევრ მათგანს კელნიც კი (ბერგნოიშტადტიდან 15 წუთის სავალ გზაზეა) არ ჰქონდა ნანახი. თანხებს ოჯახში აგზავნიდნენ და ზედმეტად არ ხარჯავდნენ. მათთვის უცხო იყო მოგზაურობა, გართობა. თუმცა წლების გასვლის შემდეგ სინანულით აღნიშნავენ, რომ სცოდნოდათ გერმანიაში დიდ-ხანს დარჩებოდნენ, თანხებს არა თურქეთში, არამედ გერმანიაში და-აბანდებდნენ და ისიამოვნებდნენ ცხოვრებით.

პირველი თაობის ბერგნოიშტადტელებისათვის სახლი თურქეთ-შია, ყველა მათგანი უკვე პენსიონერია, ზამთარს გერმანიაში, ზაფ-ხულს კი ინეგოლში ანდა ჰაირიეში ატარებს. მათთვის გერმანია უკვე წარსულია და იქ ჩასვლის მიზეზი მხოლოდ შვილები და შვილიშვი-ლები არიან. წლების მიუხედავად, მაინც ვერ შეეთვისნენ გერმანიას. ეს უკანასკნელი უცხო და ცივ სამყაროდ დარჩა მათ ცნობიერებაში. პირველი თაობის ბერგნოიშტადტელებს კარგად ახსოვთ წარსული,

მიახლოებით 10 საზოგადოებაა.

საიდან და რა მიზეზით წამოვიდნენ მათი წინაპრები საქართველოდან თურქეთში, ქართული გვარები (კირკიტაძე, ხინკილაძე, ძველიშვილი, ქოქოლაძე და სხვ.), ენა (ბევრი მათგანი კარგად საუბრობს ქართულად), ინახავენ კულტურას, შეძლებისდაგვარად იცავენ ქართულ ტრადიციებს, შვილიშვილებს ქართულს ასწავლიან.

მელექ ბაშთურქიქაიაჯა. 66 წლის ქალბატონი (საუბრობს ქართულად): „ამ ყველს თორბაში (ტომარა) ჩავწურავთ, მემრე მარილს დავაყროთ, რომ კარქა გეიწურვის, მემრე გუდაში ჩავყროთ. გუდას ვეტყვით იმას, ჩავტკეპნით, მარილს დავაყროთ პირზე, ჰირ არ წახდება. დედეები (წინაპრები) ადრე აკეთებდნენ იაილაში (იალალი) მივიდოდნენ ისინი, იაილები გვაქვს ჩვენ, ახლა ვინმე აღარ მივა, არც აკეთებენ, გაზაფხულს ღმერთის ემრით (სურვილით), თორბაში უნდა გავაკეთოთ იქ უნდა ჩავწურო. მე დაჩვეული ვარ თეელი უნდა მქონდეს, ჭამაზე ძალიან დუშქუნი (ჭამის მოყვარული) არ ვარ, ამა ასე უნდა მქონდეს უნდა მომყვეს ხელში. ახლა havaalan gelirken tereyağ falan atırıyordurlar (აეროპორტში კარაქს და მსგავს პროდუქტს აყრევიან). იმის წინ ვერ გავაკეთებინე, თვარა თერეიაღს ბევრ წამევილებდი. ახლა ფაფას გევეკეთებ, ვინცხა მოვა შეჭამს. ფაფასთვინ წყალ აადულებ, მარილი, მერე პაწაი იაღს (კარაქი) ჩავასხამ წვენია, კორკოტი არ გახდება შიგ, წყალით იშთე მარილი, ღომიც იმფრათა, ღომს ასე ჭადის ფქვილი პაწას პურ ფქვილს გუურევდა ჩემი დედამთილი, იმას ასე ლუკმა ლუკმა თეფშზე დავაწყობდით ან ყველ მოვაყრიდით, ზეიდან იაღს მოვასხმიდით, ისიც ძალუან ლამაზია. ვინცხა ახლა ჩემსავით იაშლია (მოხუცია)ის აკეთებს, გენჯები (ახალგაზრდები) არ იჯებიან. მე კირკიტაძეებიდან ვართ. ჩემს დედეს ოსმანოლლის ეტყვიან ფელევანოლი მეჰმეთი, ოსმანას ბიჭია ჩემი დედე. ფელევანოლი ოსმანას. ჩემს ანნეს (დედა) ძველიშვილს ეტყოდნენ. ბევრი ხანია მოვედით აქ, ჩემ კაცმა 28 იაშინდა (ასაკში) მოვიდა აქ. ახალი მოსული იყო ასკერიდან, აქაურობა დერშლაგია, ენ წინ ზეით ვიჯექით, 25 სენე აპფელს ვიჯექი, ჩემ კაცი იქიდან აქ ჩამობარგვამდინ მოკდა, სახლიდან გარიგდა. წინ აქ ძალიან ზორად (მიჭირდა) ვიყავი, ენა არ ვიცოდით, რამე არ ვიცოდით გზა-კვალი არ ვიცოდით, ამა ახლა თეელი ვიცით, აღმანჯა პაწაი ვიცი, შიერი არ დავრჩები, ავადმყოფობას აგვაგნებინებ დოქტორს, ო ქადარ. მივალთ მოვალთ, ჰასრეთლერი ვართ. ( არ ვდარდობთ) ჩემმა დიდ ბიჭმა დიდ გოგომ იცის, თორუნებმა იციან გურჯული, ამა ვერ ლაპარაკობენ. კოლსამა, განდაგანა თეელი იციან. გედევერიეთ. გედერიეცხა, ჩვენი გურჯული თურქჩესი ერთად შეერია. პაწუანებმა თურქჩეც არ იციან, თლად აღმანჯას იჯებიან. გურჯისტანიდან ხისიმები (ნათესავები) მოსულან ჩვენი, მაჭახელიდან მე იქ არ ვიყავ, ტელეფო-



ნით დევემშვიდე, ჩემ კაცმა გურჯული იცოდა ამა თლად ჩვენსავე არ იცოდა, გურჯი არ იყო, ჩემი მამამთილი იუგოსლავიდან მოსულია. იაბანჯებში გათხოვილი ვარ მე. ამა მამამთილი არ ლაპარაკობდა გურჯულად იცოდა ამა თურქჩეს ჯევაპს (პასუხს) მოგცემდა. ნინებმა თურქული არ იცოდნენ, თლად გურჯე, მემრე თურქჩეც დეისწავლეს, ჩვენ თურქჩეს იყო რო ჩვენ გევზარდეთ, ოქულში (სკოლა) თურქჩეში წეველით, სოფელში ბიჭებმა იცოდნენ გურჯული, ორი მყავდა იქ გოგოც, როცა ევებარგეთ ველარ დეილაპარაკეს, ეს პაწი ბიჭი 6 წლისა წევყვანე. ყასაბაშიც სახლი მაქვს სოფელშიც ინეგოლში და ჰაირიეში დეპოს ქვეით ენ დიდი სახლი ჩემია. დიდვანები წეიდნენ ერთი ნენეი მყავს ახლა, ნენემ იცის გურჯული, ისიც თურქჩეს ლაპარაკობს გურჯუჯეში, შეერია ნენემაც, ნახვარ ნახვარი ხან ის ხან ის. ბაბაი 17 სენეა (წელია) მომიკვდა. დედეი მე 9 წლისა ვიყავი მემიკვდა, ჩემი ბაბას ბაბაი, ნენეს ბაბაი 18 იაშინდა ვიყავი მეორე ბალანა მყავდა პაწი გამათხოვეს, 14 იაშინდა გამათხოვეს. კაცი კაი მყავდა. ჯერ სოფელში ვიყავ მემრე ინეგოლს ჩამევიბარგე. ნეტა არ წამოვსულიყავით, თელი ბალან ბულანა იქ მეყოლებოდა. სიფუხრე (სიღარიბე)იყო, რამე არ მქონდა, ჰირ რამე არ მქონდა, არც სახლი მქონდა, ამა çalışmayı seviyordum, (მუშაობა მიყვარდა. ბევრი საქმე მიყვარდა მოწყვეტილი საქმე მიყვარდა. ძველობაში ყანა ბაღჩას ვიჯებოდით, ვარგვიდით, ჩემი კაცი ჩობანი (მწყემსი) იყო საქონელს აძოვებდა, წელიწადში პურს მეიკრეფდა იმას ვჭამდეთთ გაყვიდებდით, ამა fakirlikten dert almadık (სიღარიბის გამო არ ვდარდობდით) ძალიან კარგად geçiniyorduk (გაგვყავდა ცხოვრება). ღმერთმა თუ ჩამეგვიყარა იქნება, ღმერთმა გადმოგვხედა სხვა ვინმემ არა. ერთი ჩემი კაცის ძმა იყო ის გვეხმარებოდა allah razı olsun (ღმერთმა დალოცოს). სხვა მამათილ ერთი ღორი ეკლო კალოზე, ამა ჰირ არაფერი არ მოგვცა, ერთი კრავი, ცხვარი ერთიც თიკანი. Allah verdi bana (ღმერთმა მომცა). ჩემ ბაბამ ერთი ხბო მომცა ისიც ფუხარა იყო. ჩეიზიც (მზითვეი) არ მომცა ბაბამ მამამთილმა გიმიკეთა. ფარა აართვა შეჭამა რაჰმეთლი (ცხონებული) ბაბამ. ახლა თეელი მაქ, ამა შვილები აირი აირი მყავს მენატრებიან, მარტო თლა ყოლაი არალი კაი. ზამთარში აქ ვარ, ახლა მეექვსე თვეში წეველი ახლა მოველი იშთე, ექვს თვეს დავდექ თურქიეში, ზამთარში აქ მოვალ. ზაფხულში იქაურობა მინდა, ინეგოლში ძალიან ვერ ვდგები, სოფელი მიყვარს იქ გაზრდილი ვარ სოფელში დიდი სახლი მაქვს. სიარულში, თემიზობაში (დასუფთავება) ვიღლები ძალუან. ნენეიც იქაა 87 იაშინდაა. ჩვენ მაჭახელი ვართ. ახლა ჩვენ ტელევიზიონში გურჯუჯეს ვუდინგებ მე გურჯულას ვხდომილობ, იმ ორს ვერ ვხდომილობ ისინი ძალუან წმინდა ლაპარაკობენ. ახლა დღეს ვუდინგებ, ბიჭმა მითხრა ეი ნენეო თქვენებმა

გემევიდნენო. 2008 სენეში (წელს) ბევრი გურჯი დეილუპა, ეს ჰარბი (ომი) ზალუან გვეტკინა. ორივე გელინი (რძალი) ერთ დღეს მოვიყვანე, ისინიც გურჯები არიან ამა, გურჯული არ იციან. ყასაბაში (ქალაქი) რომ ჩევიბარგე პაწაი გელინი 6 წლისა თვალი დავაჭირე ამას. ამა იმათ არ ვუთხარი ჰირი. იქნებ გულში სხვა რაცნა გუუარებენ ჰირ არ მითქვამს დასახლებამდე. მერე ბიჭს ვეუბნებოდი საცნა გინდა იქ იარე, ლამაზი ბიჭები მყავდა, ამა თქვენ გურჯებიდან უნდა დავასახლოთ მეთქი. ორივე გელინი გურჯი სულალეა (გვარისაა). მერე რომ გეიზარდნენ მივედი კალოზე იარებოდა კალოს გვიდა. სახლები ასე გვაქვს ყასაბაზე, ანნეო ეს სევილიაო, ხო მეთქი, ეს გოგო არ გააქცივოო, ყისმეთი (ბედი) ყოფილა, მევიყვანე. წავალ მიმილაგებს, იმფრად გუუწყენტია დოლაბები, რომ ენა ჩიგივარდება. აქედან წაღებული ჩამაშირი, მე ვახთი (დრო) არ მაქვს, წელი მტკივა, შუუწყეია, დოლაბები (კარადა) ანათებს. ყასაბაზეც მიმილაგებს. 4 შვილი მყავს უმცროსი 12 წლის მერე მეყოლა, ბადიშები ამაზე 4 წლით დიდი მყავს. უმცროსი ფილიზი აქ დემებადა. ალმანი ევ საჰიბი (სახლის მეპატრონე) მყავდა ჩემევიდოდა, რაფერ ლამაზი გოგო გყავსო, მეტყოდა. ის ძველი ევ საჰიბი, ყოველდღე ჩასახუტებლად ჩამევიდოდა. მკითხავდნენ ეს ალმანიიდან იყო თუ თურქიდან იაშლები, იმფრად ლამაზი თვალეები და თეთრი იყო. ვიცინებდით. 66 ავათავე. ეს რომ მეყოლა 36 იაშინდა ვიყავი. უფრო დიდი ვარ. ბაბაი ძალიან სერთი (მკაცრი) იყო, თლად შეგვეშინდებოდა ბაბის. წინ წინ გარედან მოყვანა არ იყო, ბაბაიც და ნენეც გურჯები იყვნენ. გოგოების კარში მიცემა არ იყო, ამა მემრე მემრე ნელ ნელა შემოვიდა. ახლანდელი გოგოები ძალიან ჭკვიანები კაცთან მიდიან. დაწავლული ჩვენ პაწაი გევეთხოვეთ, მულიც ერთად ვიყავით. ერთ სახლში ვიყავით. დედამთილიც და მამამთილიც სერთი (მკაცრი) მყავდა. რაცხას მეტყოდნენ ვიჯებოდი ვსაქმობდი. პაწაი გელინი გავხდი საქმე ვიცოდი. ახლა გოგოები არ ერთხოვებიან მესლელი (პროფესია) უნდა ქნან“ (ენდოგამია ინეგოლის ქართულ სოფლებში დღესაც შეინიშნება და ბევრისთვის აუცილებელ პირობად რჩება).

„მაშინ, როცა პირველი თაობა უკან, სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს, მეორე თაობა იბრძვის მოერგოს იმ ადგილს, სადაც დაიბადა“ [დუთ-ბალერსტადი 2010: 58]. თუ პირველ თაობას კარგად ახსოვს წარსული, წინაპრები, მეორე თაობის წარმომადგენლები მშობლების მეშვეობით იხსენებენ წინაპრებს. თავად ჰაირიელთა საზოგადოებაში ბევრმა არ იცის, ვინ იყო აჰმედ ოზკან-მელაშვილი (მიუხედავად იმისა, რომ მისი სურათი „კავკასიური კლუბის“ კედელზეა ჩამოკიდებული).

ჯასიმ და ფილიზ ილდიზეები (ჯასიმი დაიბადა თურქეთში, 35 წლისაა, მისი მეუღლე ფილიზი კი გერმანიაში დაიბადა და 33 წლი-

საა) ჯასიმი (საუბრობს თურქულ და ქართულ ენაზე): „მე ჰაირიედან ვარ, გურჯი ვარ. ინეგოლში ძალუან ბევრი გურჯი სოფელია. შენ იცი (ილიმება) მახსოვს ჩემი მშობლები რას მეუბნებოდნენ დედებზე (წინაპრებზე). გურჯული სოიადი (გვარი) მალაყმაძეა, ანნეს (დედის) გურჯული სოიადი არ მახსოვს. ბირ დაქიქა (ერთი წუთით) ვურეკავ ... (ჯასიმი ურეკავს თავის 67 წლის დედას, რომელიც ინეგოლში ცხოვრობს) ანნეს გვარი გოგლიძეა. ეხლა ჰირ (ალარ) დამავიწყდება. ჩემი ბაბა (მამა) მასწავლიდა გურჯულ ცეკვებს. (აგრძელებს საუბარს თურქულად) ჩემს ბავშობაში ყველა ქორწილში გურჯული ცეკვები იყო, განდაგანა, კოლსამა... ორი ბიჭი მყავს, ჩემგან განსხვავებით ისინი ხშირად არ დადიან ქორწილში. მხოლოდ ზაფხულობით, როცა არდადეგებზე ჩადიან ინეგოლში. ამიტომ ვცდილობ მათ აქ ვასწავლო ცეკვები. ჩვენი ახალგაზრდები იკრიბებიან კვირაში ერთხელ სათვისტომოში და მათ ცეკვებს ვასწავლი. ეს მნიშვნელოვანია, რათა არ დავიწყონ წინაპართა ტრადიციები.“

ფილიზ ილდიზი (საუბრობს ქართულ და თურქულ ენაზე): „ჩემი მეუღლისგან განსხვავებით, მე გერმანიაში დავიბადე და გერმანულიც კარგად ვიცი. მეც გურჯი ვარ. ზოგჯერ გურჯულ არხებს ვუყურებ, მაგრამ ძალიან სწრაფად საუბრობენ და ზოგჯერ ვიჭერ სიტყვებს და კმაყოფილი ვარ (ილიმება) ჩემი გურჯული სოიადი (გვარი) თავდგირიძეა. ჩვენ გვინდა, რომ ბავშვებმა გურჯული იცოდნენ და ვცდილობთ, რაც ვიცი, ვასწავლოთ. როცა ჩვენი მშობლები აქ არიან, ისინი ასწავლიან.“

მეორე თაობის ბერგნოიშტადტელები ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს – გერმანიაში დაბადებულები და მცირეწლოვან ასაკში გერმანიაში ჩამოსულები. ისინი აკრიტიკებენ მშობლებს, რომელთა მიზანი ფულის დაგროვება იყო და ვერ შეიგრძნეს ცხოვრება. მათი აზრით, მხოლოდ შვილებისა და ოჯახისათვის ცხოვრება დიდი შეცდომაა, რადგანაც ადამიანმა თავისი ცხოვრება მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს და შეიგრძნოს. სწორედ ამ შეხედულებაში იგრძნობა უკვე განსხვავება ძველ და ახალ თაობას შორის. მეორე თაობის ახალგაზრდები ცდილობენ, იმოგზაურონ, იცხოვრონ არა მხოლოდ ოჯახისა და მუშაობისათვის, არამედ სიამოვნებისათვის, ცხოვრების თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

მეორე თაობის ბერგნოიშტადტელი ჰაირიელები თვითდამკვიდრებას გერმანიაში ცდილობენ. მშობლების თაობისაგან განსხვავებით, თავისუფლად საუბრობენ გერმანულ ენაზე, ალღო აუღეს ევროპული ცხოვრების წესს, ზოგიერთი მათგანი თურქეთში ალარც კი ჩადის. უმრავლესობა გერმანიის მოქალაქეა, თუმცა არიან ისეთებიც, რომ-

ლებიც განგებ არ იღებენ გერმანიის მოქალაქეობას და თურქეთის პასპორტს ატარებენ. პასპორტი ზოგადად ასოცირდება პიროვნების დაბადების ადგილსა და მის მოქალაქეობასთან, თუმცა მას ემოციური დატვირთვაც გააჩნია, ის პიროვნებას თითქოს წარსულთან აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მიგრანტი, ძველ პასპორტზე უარის თქმის დროს, განიცდის წარსულთან გამოთხოვების სევდას. საინტერესოა, რომ ეს უსიამოვნო განცდა, საკუთარი „მეს“ უარყოფასთან ასოცირდება. ზოგიერთი ბერგნოიშტადტელი ჰაირიელისათვის თურქეთის პასპორტზე უარის თქმა წინაპრებთან სულიერი კავშირის გაწყვეტას გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის მოქალაქეობა და თურქეთში მცხოვრები მშობლები, მათთვის ის უკანასკნელი ხიდია, რომელიც წარსულთან აკავშირებთ. მეორე კულტურის ქვეყანა ანუ თურქეთი თითქოს დამაკავშირებელი რგოლია, წარსულსა და აწმყოს შორის, რომლის ამოვარდნით პირველი კულტურის ქვეყანასთან ანუ „გურჯისტანთან“ კავშირი იკარგება. თურქეთში მათი დაბრუნების მიზეზი მშობლები არიან, მაგრამ მათი გარდაცვალების შემდეგ, შესაძლოა, დაბრუნების მიზეზიც დაიკარგოს. „პირველი თაობისათვის მშობლების გარდაცვალებით იკარგება სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობა... მეორე თაობისათვის კი მშობლების დაღუპვა იწვევს როგორც ფესვების, ისე უკან დასაბრუნებელი გზის დაკარგვას“ [დუთ-ბალერსტადი 2010: 58].

გერმანიაში დაბადებული მესამე თაობის ბერგნოიშტადტელები ოჯახში გერმანულ ენაზე საუბრობენ, იციან, რომ თურქეთიდან არიან, წარმოშობით კი – „გურჯები“. ზოგიერთს მშობლები სახლში გერმანულ ენაზე საუბარს უკრძალავენ, რადგანაც ხედავენ თურქული ენის დავიწყების საშიშროებას. აგრეთვე ასწავლიან ქართულ სიტყვებს, ცეკვებს, რათა არ დაივიწყონ შორეული წარსული.

### **სახლის ილუზიური განცდა თურქეთი/გერმანია**

*„სახლი გამოხატავს არა მხოლოდ იდენტობის დაცულ პირად სივრცეს, არამედ ხაზს უსვამს ერთობლივ წარმოსახვათა წყობას, რომელიც გამოგვეყოფს ჩვენ სხვა ყველასაგან, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი მენტალობა, საზღვრები, პოლიტიკური თუ სოციალური სისტემა, სივრცის აღქმა“. ესინ ბოზქურთი*

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც მუჰაჯირი ქართველები თურქეთში გადასახლდნენ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდნენ, მოეძებნათ ისეთი ადგილები, რომელიც მათ საქართველოს მოაგონებდა, შეექმნათ სამშობლოსა და საცხოვრისის ილუზია, რადგანაც საცხოვრისი, როგორც ლ. ჩემბერი აღნიშნავდა ის „ადგილია, სადაც საგნები,

ურთიერთობები, ადამიანები, ფანტაზია და ფაქტები დომინირებს“ [ჩემბერი 2001: 161].

უცხო მიწაზე დასახლების შემდეგ იწყებდნენ სახლების მშენებლობას. სახლი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში შიდა სივრცის განწყობას ქმნის, რომლითაც პიროვნება ახდენს საკუთარი ეთნიკური ვინაობის თვითშემეცნებას. დაიწყეს რა საკუთარი სივრცის შექმნა, საცხოვრისის სახით, უპირველესად შემოფარგლეს „შინა“ „გარეთასაგან“. საკუთარი შიდა სივრცით გააერთიანეს ორი სამყარო „სიმბოლური და რეალური“. „სახლი, როგორც რეალური, პრაქტიკული კომპლექსი და მეორე, როგორც სიმბოლურ-წარმოსახვითი ობიექტი ... ვეხებით რა სახლს, საცხოვრისს როგორც პრაქტიკულ, რეალურ კომპლექსს, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, დავინახოთ მისი ეკონომიკური, სოციალური მხარე; გავაანალიზოთ მისი როლი ცალკე ინდივიდისა და ცალკე საზოგადოების ცხოვრებაში, შესაძლებლობა გვეძლევა, ავაგოთ სოციალური და ეკონომიკური მოდელი“ [ბუხრაშვილი 2005: 111].

როდესაც მუჰაჯირი ქართველები უცხო ტერიტორიაზე დასახლდნენ, ეთნიკური თვალსაზრისით შემოფარგლეს და მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სივრცედ განსაზღვრეს „ჩვენ“ და „სხვები“ (მუჰაჯირი ქართველები კომლობით სახლდებოდნენ ერთ ტერიტორიაზე და ქმნიდნენ ერთიან სოციალურ ორგანიზმს. ინეგოლის მთელ რიგ სოფლებს დღესაც შემორჩენილი აქვთ ქართული სახელწოდებები იმ ადგილებისა, საიდანაც მუჰაჯირები გადმოსახლდნენ), ხოლო სახლების აშენებით კი, უფრო ვიწროდ დაჰყვეს „შინა“ და „გარეთა“. ე.ი. გამოჰყვეს მიკროსამყარო მაკროსამყაროსაგან, როგორც ეთნიკური, ისე ვიწრო პიროვნული თვალსაზრისით.

საცხოვრისის აშენების შემდეგ აუცილებელია საკუთარი წარმომავლობის უფრო მძაფრად განცდა და სულიერი კავშირის დამყარება წარსულთან. ცარიელი სახლი ვერ შექმნის საკუთარი ვინაობის გასააზრებლად შესაბამის პირობებს, რადგან მხოლოდ შენობა ცივია და სრულად ვერ უზრუნველყოფს წარსულთან/წინაპრებთან სულიერ კოჰეზიას. უცხო მიწაზე ყოველთვის მძაფრად ხდება საკუთარი ვინაობის შემეცნება, ძიება და ჩაღრმავება წარსულში, წინაპრებთან დიალოგის აუცილებლობის განცდა. ამის საუკეთესო საშუალებას კი სწორედ საკუთარ ვინაობასთან დაკავშირებული ცალკეული ნივთების არსებობა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მუჰაჯირ ქართველებს ამ მიკროსამყაროში შეჰქონდათ საქართველოდან წამოღებული სამეურნეო თუ საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთები. ყოველივე ეს მათ ეთნიკური სივრცის განცდას უქმნიდა. ცარიელ შენობას აქცევდა საცხოვრისად, ავსებდა მას ეთნიკური ელემენტებით,

ქმნიდა სრული კომფორტის განცდას. პიროვნება ეხებოდა რა თითო-ეულ მათგანს, კავშირს ამყარებდა წარსულთან, იხსენებდა საკუთარ ვინაობას და უცხო მიწაზე აცალკევებდა „მეს“ და „სხვას.“ ამ გამიჯვნით იგი ასევე საზღვრავდა „ჩვენებურის“ ანუ „ჩემიანს“, „ხისიმს“,<sup>4</sup> „გურჯს“ და ყველასხვას.

მეორე ეტაპზე აუცილებელი იყო ამ შიდა სივრცის შენარჩუნება და გარკვეული წესების დაცვა, რაც დაკანონებული უნდა ყოფილიყო შემდგომი თაობებისათვისაც.

შენარჩუნებული ეთნიკური სივრცის სიმტკიცისათვის მნიშვნელოვანი იყო, არ მომხდარიყო ამ მიკროსამყაროში „უცხო ელემენტების“ ანუ არა „გურჯის“ შემოჭრა, რასაც, შესაძლოა, მოჰყოლოდა სხვა ეთნიკური ერთეულების ტრადიციებისა და ცხოვრების წესის გავრცელება. მუჰაჯირებს კარგად ესმოდათ, რომ ამ შემთხვევაში საფრთხე დაემუქრებოდა მათ შიდა ეთნიკურ სივრცეს, რაც გამოიწვევდა გადაჯიშებას. ამიტომაც საჭირო იყო ამ საშიშროებისაგან თავის დაცვა. თურქეთელი ქართველები მიწას უცხოზე არ ყიდდნენ, ამით თავიდან იცილებდნენ უცხო ადათობრივი წყობის გაძლიერებას, ასიმილაციას, რასაც ისედაც ხელს უწყობდა გარემო პირობები-თურქეთის პოლიტიკა.<sup>5</sup>

უცხოზე, არა „გურჯზე“ მიწის არმიყიდვით არ შემოიფარგლებოდა თურქეთელი ქართველების თავდაცვა. საჭირო იყო, არა მხოლოდ ტერიტორიის, არამედ გენეტიკის, ჯიშისა და ჯილაგის დაცვაც გადაჯიშებისაგან. თურქეთელი ქართველები, ეთნიკურ-ტომობრივი თვალსაზრისით ენდოგამები იყვნენ. მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ ქორწინება არა მხოლოდ სოციალური, არამედ ბიოლოგიური მოვლენაა. მუჰაჯირმა ქართველებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ბიეთნიკური ქორწინების შემთხვევაში, დაირღვეოდა შიდა ქართული სივრცე და მოხდებოდა მათი ასიმილაცია, რასაც ისედაც ხელს უწყობდა უცხო მიწაზე დასახლება.

ამრიგად, სამმა მნიშვნელოვანმა კომპონენტმა: 1. საცხოვრისი, როგორც „რეალური და სიმბოლურ-წარმოსახვითი ობიექტი“, სადაც თვისობრივად ერთმანეთს ერწყმის წარსული და აწმყო, რომელიც ქმნის წარსულთან სულიერ კოჰეზიას; 2. ტერიტორიის შემოსაზღვრა და განსაზღვრა „მეთი“ და „სხვით“, „ჩემიანი“ და „უცხოთი“; 3. საკუთარი სივრცის დაცვა უცხო ელემენტების შემოჭრისაგან: მიწის უც-

4 hisim – ნიშნავს ახლო სისხლით ნათესავს, რომელსაც პაპა და ბებია საერთო ჰყავს. იხ. თურქული ენის ლექსიკონი 1998.

5 ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა სავალდებულო სამხედრო სამსახური. გარდა ამისა, თურქეთის კონსტიტუციის 66-ე მუხლის თანახმად, თურქეთის ყველა მოქალაქე თურქია.

ხოზე არმიყიდვითა და შეურეველი ქორწინებით გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქეთელ ქართველებში ეთნიკური თვითობის შენარჩუნების საკითხში.

**„უსახლკარობა მსოფლიოს ბედისწერა ხდება“  
– მარტინ ჰაიდეგერი**

ინდივიდის ერთი ადგილიდან მეორეზე მუდმივი გადაადგილება, საცხოვრისისა და გარემოს რადიკალური ცვლა, ბუნებრივია, იწვევს „ადამიანის „მე“-ს, ფსიქიკის, ენისა და მოქალაქეობის განცდის სრულ გარდაქმნასა და მუტაციას“ [დუთ-ბალერსტადი 2010: 135]. მუჰაჯირმა ქართველებმა თურქეთში (ინეგოლში) ილუზიური სამშობლოსა და საცხოვრისის მეშვეობით გარკვეული დროის მანძილზე შეძლეს იდენტობის დაცვა. თუმცა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჰაირიელი ქართველების უკვე მეორედ გადასახლებამ გერმანიაში – მესამე კულტურის ქვეყანაში გარკვეულწილად შეცვალა მათი იდენტობა და შეიძლება ითქვას, გაორებულიც კი გახადა. რადგანაც მათ მახსოვრობაში რადიკალურად განსხვავებული ევროპული რეალობა შეიჭრა, რაც დაუპირისპირდა აღმოსავლურ-კავკასიურ მენტალობას და გერმანიაში დაბადებულ მეორე, მესამე თაობის ჰაირიელებზე ზეგავლენა მოახდინა. მუდმივმა მიგრაციამ ისინი მომთაბარეებად აქცია და საცხოვრისის, როგორც „ჩემი ციხე-სიმაგრის“ მნიშვნელობა გააუფასურა. სახლი დროებით „კარავს“ [კარტერი 1992] დაამსგავსა, რომელიც მუდმივი საცხოვრისის განცდას არის მოკლებული. თუ ჩვენ პოლ კარტერის ამ „კარვის“ მეტაფორას, მოვარგებთ გერმანიაში მცხოვრებ თურქეთელ ქართველებს, მაშინ დავინახავთ, რომ მათში საცხოვრისის არსობრივი მნიშვნელობა აღარ არსებობს და ის დროებითმა „კარავმა“ ჩაანაცვლა.

თურქულ ენაში არის რამდენიმე სიტყვა, რომელიც სახლის მნიშვნელობას გამოხატავს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია “ev” და “yurt” – ადგილი, სადაც ოჯახი ცხოვრობს. სამშობლოს მნიშვნელობით კი გვხვდება სიტყვები “memleket”, “vatan”, “yurt,” “anavatan”, “anayurt” და “ülke”. ყველაზე ფართოდ გამოყენებადია “vatan”, რომელიც მომდინარეობს არაბული ენიდან და ნიშნავს დაბადების, საცხოვრებელ ადგილსა და სამშობლოს [Türkçe sözlük 2007]. მისი მსგავსი სიტყვაა “yurt”, რაც ასევე ნიშნავს დაბადებისა და საცხოვრებელ ადგილს. ასევე საკმაოდ გავრცელებული ტერმინებია “memleket” და “ülke,” რომელიც მიუთითებს საგვარეულო ადგილს, სამშობლოს [ატალაი 1999 და ფუსქულუოღლუ 2007]. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა “ülke”-ს გააჩნია ტერიტორიული დატვირთვა და ამ თვალსაზრისით ახლოს სდგას სიტყვა “vatan”-თან, მაშინ, როცა სიტყვა “memleket”-ს

გაჩნია ძლიერი ემოციური დატვირთვა და სამშობლოსადმი მიკუთვნებას გამოხატავს [დოლანი 1995]. საინტერესოა, რომ თურქეთელი ქართველები საუბრისას წინაპრების ისტორიების გადმოცემის დროს, იყენებენ სიტყვა “memleket”-ს, ამით ქვეცნობიერად თუ ცნობიერად დღესაც მინიშნებენ „გურჯისტანისადმი“, როგორც „მემლექეთისადმი“ გენეტიკურ/ეთნიკურ კუთვნილებას.

გერმანულში მშობლიური სახლის გამოსახატავად, იყენებენ das Haus, das Heim, das Zuhause, die Heimat, die Wohnstätte, ხშირად ხმარებადია das Heim, die Heimat. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში (ბერგნოიშტადტში) მცხოვრებმა თურქეთელმა ქართველებმა (მეორე და მესამე თაობა) დაკარგეს ორივეს “memleket”-ისა და თუ “Heimat”-ის ემოციური განცდა და მხოლოდ ლექსიკური ფუნქციით იყენებენ. რეალურად მათთვის აღარც თურქეთი და არც გერმანიაა სამშობლო (ვგულისხმობთ ამ სიტყვის აზრობრივ-ემოციურ მხარეს) ორ გზის მუჰაჯირობამ სახლი/სამშობლო მიუწვდომელი, ილუზიური გახადა, „იგი აღარ არის იდენტობის ტაძარი და ცენტრი“ [მორლი 2000:51], მას მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულების ფორმა მიეცა – სახლი, რომელიც უნდა იყოს კომფორტული, აღჭურვილი საჭირო ტექნიკით, სადაც მხოლოდ იცხოვრებ. სახლის, სამშობლოს ილუზიურ განცდად შეიძლება ჩაითვალოს, ის ფაქტიც, რომ ყველა ბერგნოიშტადტელ ქართველს ინეგოლსა და ჰაირიეში აქვს სახლები, რომლებიც გერმანული ფინანსებით შეაკეთეს, გაარემონტეს ანდა თავიდან ააშენეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთში არავინ ცხოვრობს და არც მომავალში ვარაუდობენ სამუდამოდ დაბრუნებას, მათ კეთილმოსაწყობად მაინც არ ზოგავენ თანხებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათთვის სახლი არა მხოლოდ საცხოვრებელია, არამედ წარსულთან ასოციაციას. ისინი არემონტებენ სოფელში სახლებს, რომლებშიც არც აპირებენ ცხოვრებას, მაგრამ ეს გარკვეული იმედი და სტიმულია, იმისა, რომ ოდესმე დაბრუნდებიან, ოდესმე იცხოვრებენ. ეს არ არის გარანტირებული დაბრუნება, არამედ დაბრუნების გარანტიაა, რომელიც იმედით, იქ „ოდესმე“ ცხოვრების ილუზიითაა შთაგონებული. ზემოაღნიშნულმა მდგომარეობამ მათში გაორება წარმოშვა. გაორება არის მდგომარეობა, როცა გენეტიკურად/ფსიქიკურად სხვა ეთნოსს ეკუთვნი, ხოლო ფიზიკურად ხარ სხვაგან. ადამიანი თითქოს კარგავს ფესვებს და ორ სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობს – დაკარგული წარსული და აწმყო, რომელსაც ჯერ ვერ შეეთვისა. იგი იქცევა იმ ადამიანად, რომელიც არსად არ არის. პიტერ და ბრიჯიტ ბერგერები და ჰანსფრიდ კელნერი ნაშრომში „უსახლკარო გონება“ [ბერგერი... 1974] აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ინდივიდის მულტიპლ და



მრავალჯერადი გადაადგილება ხდება მიზეზი იმისა, რომ საბოლოო ჯამში იგი არსად არ ცხოვრობს. მინა ალექსანდერი ერთ-ერთ თავის ნაშრომში, საუბრობს რა უცხო ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ არსებულ შოკზე, აღნიშნავს, რომ ადამიანი საკუთარ თავს უსვამს კითხვებს „სად ვარ? ვინ ვარ? და ყველაზე რთულია გასცე პასუხი კითხვას „როდის ვარ თავად მე?“ [ალექსანდერი 1996: 142] გაორება ხდება მაშინ, როცა საუკუნეთა განმავლობაში გენეტიკურ-ეთნიკურად ჩამოყალიბებული მენტალობა ეჯახება მისთვის უცნობ გარე პირობებიდან მომდინარე ტრადიციებს, რაც ხშირ შემთხვევაში ეთნიკური მენტალობისათვის, შესაძლოა, იყოს არა მხოლოდ უცხო, არამედ პრინციპულად განსხვავებული. გაორება გარკვეული გაუცხოებაა საკუთარ ეთნოსთან და ახალ გარემოსთანაც, როდესაც ჭირს განსაზღვრო, რეალურად ვინ ხარ და სად არის შენი სახლი, ვერც უკან ბრუნდები და ვერც წინ მიიწევ. თუმცა ეს მდგომარეობა, შესაძლოა, საკუთარი თვითგამორკვევის მიზეზადაც კი იქცეს.

რეგულარული დუთ-ბალერსტადი თავის ნაშრომში „პოსტკოლონიელი მოქალაქე, ინტელექტუალური მიგრანტი“, აღნიშნავს „მისთვის, როგორც ამერიკის მოქალაქისათვის, სიტყვა დაბრუნებას ორმაგი დატვირთვა გააჩნია, ყოველ ჯერზე, როცა კი ინდოეთში ვბრუნდები, მე ვამბობ „სახლში მივდივარ“, ხოლო როცა კი ინდოეთს ვტოვებ და ორიგონში მივდივარ, ვამბობ „არდადეგები დამთავრდა, ისევ სახლში ვბრუნდები“ [დუთ-ბალერსტადი 2010:131]. მსგავს პრობლემას აწყდებიან ბერგნოიშტადტში მცხოვრები თურქეთელი ქართველებიც, როდესაც ჰაირიეში მიემგზავრებიან (ძირითადად ზაფხულის პერიოდში) ამბობენ, რომ „სახლში“ მიდიან. მაგრამ როცა კი გერმანიაში დაბრუნების დროდგება, აღნიშნავენ რომ „სახლში“ ბრუნდებიან. როგორც ჩანს „სახლი“ მათთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანი და ცარიელია, ჯერ კიდევ უჭირთ მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა და კვლავ ილუზიურ სახლში ცხოვრობენ, რომელიც ორი განსახვავებული კულტურისა და ტრადიციების/ყოფის გზაჯვარედინზეა მოქცეული.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული უკვე სამი თაობა ცხოვრობს გერმანიაში. პირველად ჩასულ მიგრანტებს უწევდათ ენის სწავლა, ახალი კულტურის გაცნობა. ასევე უნდა გადაეჭრათ მთელი რიგი პრობლემები, რომელიც უკავშირდებოდა სამშობლოსთან განშორებასა თუ უცხო ქვეყანაში მასპინძელთა მტრულ დამოკიდებულებას, რადგანაც თურქები გერმანიაში გარკვეული დროის შემდეგ უკვე იქცნენ არასასურველ სტუმრებად. ბუნებრივია, ევროპის ამ ქვეყანაში დიდი ხნით დარჩენამ, მოქალაქეობის მიღებამ, შობადობის ზრდამ, რესტორნების გახსნამ, მეჩეთების აშენებამ ნაციონალური

კულტურის მოყვარულ გერმანელ ერში უკმაყოფილება, გაღიზიანება და, შეიძლება ითქვას, ანტითურქული განწყობა წარმოშვა. ამას ბოლო პერიოდში კელნში გრანდიოზული მეჩეთის მშენებლობაც დაემატა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჰაირიელები აღნიშნავენ, ბერგნოიშტადტში ეთნიკურ ნიადაგზე არსებული კონფლიქტები არ მომხდარა. თუმცა, ზოგიერთი თურქეთელი ქართველი ქალის გადმოცემით, ისინი რელიგიურ-ეთნიკურ დისკრიმინაციას მაინც განიცდიან (ზოგიერთ მათგანს სამსახურში თავშლის ტარება აუკრძალეს).

აიშე ილდიზი 34 წლის ქალბატონი (საუბრობს თურქულად): „მე ბერგნოიშტადტში დავიბადე, აქვე მივიღე განათლება. მაგრამ მე მუსულმანი ვარ და ყურანის თანახმად თავშალს ვატარებ. ძალიან რთული იყო სამსახურის პოვნა, ყოველ ჯერზე ერთი და იგივე პრობლემას ვაწყდებოდი. მეპატრონე მოითხოვდა, მომეხსნა თავსაფარი. ჩემი ზოგიერთი მეგობარი მსგავს პრობლემას უჩივის. ჩვენს სამყაროში ქალი შიდა საოჯახო სივრცის გამომხატველია, რომელიც იცავს თავის კულტურას, ეთნიკურ და რელიგიურ ფასეულობებს.“

გერმანელებმა არასასურველ თურქ სტუმრებს – მოგვიანებით უკვე მოქალაქეებს – შემდეგი სახელები შეარქვეს: (გერმანულენოვან სიმღერებში საკმაოდ ხშირად გამოიყენება) “Kanake”, (რაც თითქმის უდრის ამერიკაში სიტყვა “Nigger”-ს), “Kanaken camp”, “Sons of Gastarbeit”, “Kanaks with brain”, “Asiatic warriors”, “Islamic force” და სხვ. ბუნებრივია, ამ ტერმინებით მათი მოხსენიება (რაც ძალიან კარგად გამოხატავს თურქებისადმი დამოკიდებულებას) ნელ-ნელა პიროვნებაში წარმოშობს გაუცხოებას.

სიტყვა “Heimat”-ის საპირისპირო მცნებად შეიძლება ჩაითვალოს “Fremd”, “Ausländisch”, და ასევე “Entfremdung”. სიტყვა “Heimat” ასოცირდება უსაფრთხოებასა და იდენტობასთან, როცა “Fremd” გარიყულობისა და გაუცხოების გრძნობას იწვევს [მორლი, 1995]. როდესაც ერთი ეთნოსის წარმომადგენელი ფუძნდება უცხო ქვეყანაში, მით უფრო მისი მოქალაქე ხდება, ცდილობს ამ ქვეყნის სრულუფლებიანი წევრი გახდეს და მის მშენებლობაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. თვითდამკვიდრება ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია. როდესაც ამერიკაში მცხოვრები წარმოშობით გერმანელები ცდილობდნენ, თავი დაემკვიდრებინათ „ახალ ქვეყანაში“ და ექციათ ეს უკანასკნელი თავიანთ სამშობლოდ, მათი დევიზი იყო “wir sind keine Fremden in diesem Lande” [მეიერი 1890] („ჩვენ არ ვართ უცხო ამ ქვეყანაში“) იგივე შეიძლება ვთქვათ გერმანიაში მცხოვრებ თურქებზეც. გარდა ამისა, კონსტიტუციით, ისინი ქვეყნის მოქალაქეებად ითვლებიან, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად გრძნობენ თავს მის ნაწილად. როგორც უკვე

აღვნიშნეთ, გერმანელებისათვის თურქები დღესაც რჩებიან „ზედმეტ“ მოქალაქეებად, რომლებიც დიდხანს შემორჩნენ გერმანიაში.

იბადება კითხვა, კონკრეტულად რა მომენტში იწყება გარიყულობისა და გაუცხოების გრძობა? კანადაში მცხოვრები ცნობილი პოლონელი ემიგრანტი ევა ჰოფმანი, მიიჩნევს, რომ გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში არ არის მხოლოდ გეოგრაფიული პროცესი, ეს კულტურული მოვლენაცაა, „ვფიქრობ, რომ ყოველი მიგრანტი გარკვეულწილად დილეტანტ ანთროპოლოგად იქცევა. შენ აკვირდები ამ ახალ კულტურას უფრო კარგად, ვიდრე ისინი, ვინც ამ კულტურის ქვეყანაში დაიბადნენ და ვისთვისაც იგი მესხიერების ნაწილია. ჯერ აკვირდები ზედაპირულ მოვლენებს, განსხვავებებს და თანდათანობით ხედავ ფუნდამენტურ განსხვავებებს, ნელ-ნელა ხვდები კულტურის შინაგან ცხოვრებასა და ღირებულებებს“ [სტროინსკა... 2003: 104]. სწორედ ეს კულტურულ-რელიგიური სხვაობა და მის საფუძველზე წარმოქმნილი ღირებულებათა სისტემა ხდება გაუცხოების უმთავრესი მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ მეორე თაობის დიდი ნაწილი და მესამე თაობის თურქები თუ თურქეთელი ქართველები გერმანიაში დაიბადნენ, სკოლებში გერმანელებთან ერთად დადიოდნენ, მაინც მათგან განსხვავებული აწმყო აქვთ, სადაც უცხოებად მიიჩნევიან, რადგანაც ფიზიოლოგიური თუ სოციალური თვალსაზრისით ვერ თავსდებიან სტანდარტული გერმანელის (ფიქტიურ) იდეალურ ტიპაჟში [მეჩერილი 1997]. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ყველა არა ეთნიკური გერმანელი, გერმანელისათვის უცხოა. ეს განსხვავებულობა სკოლებშიც იგრძობა, როგორც ბერგნოიშტადტში მცხოვრები თურქეთელი ქართველები აღნიშნავენ, მათი შვილები, როგორი კარგებიც არ უნდა იყვნენ, მაგალითად, სკოლის საფეხბურთო გუნდში, მაინც მეორე ხარისხოვნებად რჩებიან და არ ეძლევათ საშუალება, გახდნენ პირველები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ უცხოობის სტიგმამ ბევრი თურქი კრიმინალურ სამყაროს დაუკავშირა. ეს გარკვეულწილად თვითგადარჩენისა და საკუთარი თავის დაცვის ინსტინქტის გამოვლინებაა. როგორც ბერგნოიშტადტში მცხოვრები თურქეთელი ქართველები აღნიშნავენ, ახალგაზრდები ხშირად „შავ სამყაროსთან“ იჭერდნენ საქმეს, ვაჭრობდნენ ნარკოტიკით და მისი მომხმარებლებიც ხდებოდნენ. ბერგნოიშტადტში არსებული საზოგადოება „კავკასიური კლუბი“ მაქსიმალურად ცდილობდა, დაეცვა ახალგაზრდები კრიმინალური სამყაროსაგან.

უცხოობისა და სიცარიელის განცდა სტატუსის ცვლილებასაც მოჰყვა, რადგანაც თურქეთში ისინი გლეხები იყვნენ, რომლებიც

ამუშავებდნენ მიწას, ქმნიდნენ სამეურნეო ნაწარმს და ყიდდნენ ანუ იყვნენ მეწარმეებიც. მაგრამ გერმანიაში მათი მდგომარეობა შეიცვალა და “Ausländer”-ებად, დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენლებად იგრძნეს თავი, რომლებიც გერმანელების მსგავსად, ვერ ახერხებდნენ ეცხოვრათ პრესტიჟულ უბნებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდა, მაინც ვერ მოიპოვეს მაღალი სოციალური სტატუსი.

საყურადღებოა, რომ საკუთარ სივრცეში უცხო სარმილების მომენტი არა მხოლოდ გერმანელებს ახასიათებთ, არამედ მათგან დისტანციას თავად თურქები და თურქეთელი ქართველებიც ამჯობინებენ. მიზეზად განსხვავებული ღირებულებათა სისტემა შეიძლება ჩაითვალოს. თუ გერმანელები თურქებს ფანატიკოსებად და ჩამორჩენილებად მიიჩნევენ, უმცირესობაში მყოფი თურქები (თურქეთელი ქართველები) გერმანელებს ზნედაცემულებად თვლიან, რომელთათვისაც უცხოა ადამიანური, ნათესაური თუ მეგობრული ურთიერთობები. ამ პრობლემას განიცდიან ასევე გერმანიაში მცხოვრები სხვა ეთნიკური ერთეულებიც – არაბები, სირიელები და სხვა მუსულმანი მოსახლეობა. პიროვნების საოჯახო სისტემა ძირითადად აგებულია რელიგიურ დოგმებზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ერთმანეთს უპირისპირდება ისლამი და ევროპული ღირებულებები. ისლამი, ისევე როგორც ქრისტიანობა, კრძალავს სექსუალურ თავისუფლებას, რაც დამახასიათებელია ევროპული თუ დასავლური საზოგადოებისათვის. ამ სივრცეში ისლამური ოჯახები ცდილობენ, დაიცვან რელიგიური ტრადიციები, რაც ახალ თაობაში იწვევს პროტესტს და ზოგჯერ კონფლიქტსაც. მოზარდს, რომელსაც უამრავი გერმანელი მეგობარი ჰყავს, უჩნდება სურვილი, იყოს მათნაირი, ჰყავდეს სექსუალური პარტნიორი, რაც ბუნებრივია, მიუღებელია მშობლებისათვის. ეს უკანასკნელნი ცდილობენ, დაიცვან შვილები გარე საფრთხეებისაგან, რამაც, შესაძლოა, საფუძველი გამოაცალოს ოჯახის სისტემას.

პარადოქსულია, მაგრამ გაუცხოებას დადებითი მხარეც აქვს, კერძოდ, ამ სტიგმამ, ზოგადად, თურქები უფრო რელიგიურები გახადა. მათთვის რელიგია ანუ ისლამი, გარკვეულწილად, თავშესაფრის ფუნქციას ასრულებს. ბევრმა მათგანმა თავსაბურავის ტარებაც კი დაიწყო, რადგანაც მშობლების თაობისაგან განსახვავებით, რომელთათვის რელიგია ტრადიციაა, გააანალიზა მისი მნიშვნელობა. რელიგიისადმი ბრმა, ტრადიციული მიმდევრობა, გააზრებულმა რწმენამ ჩაანაცვლა. გერმანელებისაგან გარიყულობისა და გაუცხოების გრძობამ, თურქეთელი ქართველების (მსგავსი მომენტი ეთნიკურ თურქებშიც შეიმჩნევა) ოჯახის წევრები ერთმანეთს დაახლოვა. მათ

შორის ურთიერთგაგება და სიყვარული უფრო გაიზარდა. გაიზარდა თავად ოჯახის, როგორც სოციალური მოვლენისა თუ ინსტიტუტის მნიშვნელობა, რაც დაუპირისპირეს უცხო ქვეყანაში არსებულ სიცარიელეს. ეს ერთგვარ თავშესაფრად იქცა. ისინი თითქოს გაერთიანდნენ „მტრის“ წინააღმდეგ და წინა პლანზე წამოსწიეს ის მომენტები, რაც მათ უმრავლესობისაგან განარჩევს. უცხოობის სტიგმამ არა მხოლოდ ოჯახის წევრები, არამედ თავად ერთი სოფლიდან მიგრირებული ოჯახები დაუკავშირა ერთმანეთს. ბერგნოიშტადტში ჰაირიელი ქართველები ერთმანეთთან სტუმრად ხშირად დადიან, იკრიბებიან სათვისტომოში, სადაც ოჯახური გარემო ხვდებათ, საუბრობენ პოლიტიკაზე, წარსულზე, უყურებენ თურქულ, ზოგჯერ ქართულ არხებს, უსმენენ თურქულ მუსიკას, ცეკვავენ „განდაგანას“, „კოლსამას“ აკორდეონის თანხლებით, ჰყვებიან მოლა ნასრედინის ისტორიებს თურქული ჩაისა და ნარგილის ფონზე. იგონებენ ზაფხულობით ჰაირიეში გატარებულ დღეებს. კოლექტიური წარმოსახვა გარკვეული ილუზიაა, რითიც იკმაყოფილებენ „სახლის“ განცდას. ეს მოგონებები გონებაში ღრმად და ფესვგადგმული და გარკვეული დობით გავლენას ახდენს მათ თანამედროვე ყოფაზე. ისინი გარკვეულწილად არქეოლოგებს ემსგავსებიან, რომლებიც ცდილობენ წარსულში იმოგზაურონ და ფრაგმენტულად არსებული, „რიტუალად ქცეული მოგონებებით“ ერთიანი სურათი დახატონ. სწორედ „წარსულის მეშვეობით ძალუძს ადამიანს, შეიმეცნოს, ჩაწვდეს რიტუალებს, სწორედ აქედან იღებს იგი ძალას, რათა გაათვითცნობიეროს თავისი ადამიანურობის არსებობა“ [რივერა 1979: 21]. წარსულის გახსენება საშუალებას აძლევთ მათ, გადარჩენენ ცივ, უმრავლესობისგან გარიყულ, გაუცხოებულ აწმყოში.

ბერგნოიშტადტელი ჰაირიელი ქართველები (ასევე ეთნიკური თურქები) გაუცხოებას განიცდიან როგორც გერმანიაში, ისე თურქეთში.

გერმანიაში მცხოვრები თურქები თურქეთიდან სამეცნიერო თვალსაზრისით ჩამოსულ მეცნიერებს ინტერვიუებზე უარს ეუბნებიან, რადგანაც ეს უკანასკნელნი მათ შემდეგი ტერმინით მოიხსენიებენ “Türkiyeli” (თურქეთიდან ჩამოსული, თურქეთელი), ხოლო თურქეთში გერმანიაში მცხოვრებ თურქებს უწოდებენ “Almanyalı” (გერმანიიდან ჩამოსული), “Almancı” (გაგერმანელებული). ორივე ტერმინი, როგორც წესი უარყოფითი, ირონიული მნიშვნელობით იხმარება. გაუცხოება მათსა და თურქეთში მცხოვრებ თანამემალულეთა შორის დაფუძნებულია ფინანსურ აღმავლობასა და კულტურულ/მენტალურ ცვლილებებზე.

ამრიგად, მომთაბარეობა მწარე რეალობად იქცა, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს იდენტობის კრიზისი. „სახლი“, „საცხოვრისი“ მხოლოდ წარსულის კუთვნილებად გადაიქცა, რომელსაც ჩაენაცვლა დროებითი „კარავი“. ბერგნოიშტადტში მცხოვრები თურქეთელი ქართველები ნელ-ნელა კარგავენ ფუნდამენტს და ემსგავსებიან იმ ადამიანებს, რომლებიც არსად არ ცხოვრობენ. პირველ თაობას ჯერ კიდევ ახსოვს წარსული, „სახლის“ მნიშვნელობა. ისინი ზამთარს გერმანიაში ატარებენ და შემდეგ ისევ თურქეთში ბრუნდებიან და სურთ, თურქეთში დაიმარხონ, ახსენებენ შვილებსა და შვილიშვილებს წარსულს, ტრადიციებსა და ენას. მეორე და მესამე თაობა კი ცდილობს, ფეხი მოიკიდოს გერმანიაში და იბრძოლოს უკეთესი მომავლისათვის.

დაბოლოს, ორგზის მუჰაჯირი, ბერგნოიშტადტში მცხოვრები თურქეთელი (ჰაირიელი) ქართველები სამი კულტურის გზაგასაყარზე რეალური და მუდმივი სახლის გარეშე, გაუცხოებულები უცხო და „მშობლიურ“ მიწაზე გაორებულნი, უსამშობლოდ დარჩენილები, უცხო ქვეყნის ცის ქვეშ განაგრძობენ ცხოვრებას. ცდილობენ, არარსებულ „სამშობლოში“ (გერმანიაში) თვითდამკვიდრებასა და ამავედროულად საკუთარი ეთნიკური სივრცის შენარჩუნებას.

### დამოწმებანი

- ალექსანდერი 1996:** Meena Alexander, *The Shock of Arrival: Reflections on Postcolonial Experience*, Boston, South End Press, 1996.
- ატალაი 1999:** Hamit Atalay, *İngilizce-Türkçe sözlük*, Ankara, Türk Dili Kurumu Yayınları, 1999.
- ბუხრაშვილი 2005:** პატა ბუხრაშვილი, *საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად, თბილისი, „უნივერსალი“*, 2005.
- ბერგერი... 1974:** Peter L. Berger, Brigitte Berger and Hansfried Kellner, *The Homeless Mind*, New York, Vintage Books, 1974.
- ბოზქურთი 2009:** Esin Bozkurt, *Conceptualising “Home”. The Question of Belonging among Turkish Families in Germany*, Frankfurt/ New York , Campus Verlag, 2009.
- დოღანი 1995:** Ahmet Doğan, *Osmanlıca Türkçe sözlük*, Ankara, Akcag Yayınları, 1995.
- დუთ-ბალერსტადტი 2010:** Reshmi Dutt Ballerstadt, *The Postcolonial Citizen, the Intellectual Migrant*. New-York, Peter Lang Publishing, Inc. 2010.
- კარტერი 1992:** Paul Carter, *Living in a New Country, History, Traveling and Language*, London, Faber and Faber, 1992.

- მეიერი 1890:** Georg Meyer, *Die Deutschamerikaner. Festschrift zur Feier des Deutschamerikanischen Tages in Milwaukee, Wisconsin, am 6. Oktober, 1890*, 54.
- Morley... 1995:** David Morley and Kevin Robins, *Spaces of Identity: Global Media, Electronic Landscapes and Cultural Boundaries*, London, Routledge, 1995.
- მორლი 2000:** David Morley, *Home, Territories, Media, Mobility and Identity*, London, Routledge, 2000.
- მეჩერილი 1997:** Paul Mecheril, “Rassismuserfahrungen von Anderen Deutschen – eine Einzelfallbetrachtung”, Paul Mecheril, Tomas Teo, *Psychologie und Rassismus*, Hamburg, Rowohlt, 1997, 175-201.
- რივერა 1979:** Tomas Rivera, “Chicago Literature: Fiesta of the Living”, *The Identification and Analysis of Chicago Literature*, New York, Bilingual P/Edicional Bilinguo, 1979, 19-36.
- სტროინსკა... 2003:** Magda Strojinska and Vittorina Cecchetto, *Exile, Language and Identity. The Role of Language in the Re-Construction of Identity in Exile*, Frankfurt am Main, Peter Lang, 2003.
- ფუსქულუოღლუ 2007:** Ali Püsküllüoğlu, *Türkçe sözlük*, İstanbul, Can Yayınları, 2007.
- შიფაუერი 1997:** Werner Schiffauer, *Die Ehre in der Türkischen Kultur. Die Ausländerbeauftragte des Senats*, Berlin, 1997.
- ჩემბერი 2001:** Iain Chamber, *Culture After Humanism: History, Culture, Subjectivity*, New York, Routledge, 2001.
- თურქული ენის ლექსიკონი 1998:** *Türkçe sözlük*, Türk dil kurumu, I cilt, Ankara, 1998.
- Türkçe sözlük 2007:** Türk dil kurumu, [www.tdk.gov.tr](http://www.tdk.gov.tr) (17.12.2012).